

სს „სილქნეტი“, სააქციო საზოგადოება, დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95 (შემდგომში: „კომპანია“), წარმოდგენილი კომერციული დირექტორის ნუგზარ ჩინჩალაძის სახით და

აჭარის არ მთავრობის საქველუწყებო დაწესებულების ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809. ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი: ბათუმი, ფარნავაზ მეფის 84/86 (შემდგომში: „აბონენტი“), წარმოდგენილი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის რაულ აბულაძის სახით

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მესამე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 „საკომუნიკაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ განკარგულების საფუძველზე, CPV - კოდი 724000000 ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1. დღეინიციები – თუ „ხელშეკრულებით“ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, აღნიშნულ ტერმინებსა და გამოთქმებს ექნებათ შემდეგი მნიშვნელობები:

1.1. **„მომსახურება“** – „ხელშეკრულებით“ ან/და მისი „დანართ(ებ)ით“ განსაზღვრული ელექტრონული საკომუნიკაციო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურება.

1.2. **„მომსახურების სატარიფო გეგმა“ ან/და „სატარიფო გეგმა“** – „აბონენტის“ მიერ არჩეული კონკრეტული „მომსახურების“ პაკეტი/გეგმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს „მომსახურების“ ღირებულებას, პირობებს და „მომსახურებაში“ შემავალ სერვისებს). „სატარიფო გეგმის“ დეტალური ჩამონათვალი/აღწერილობა მოცემულია სატარიფო ცხრილში, რომელიც წარმოადგენს „ხელშეკრულების“ დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

1.3. **„მომსახურების ღირებულება“** – „ხელშეკრულების“ დანართებით გათვალისწინებული „მომსახურების ღირებულება“, რომელიც ასევე მოიცავს მე-6 პუნქტით განსაზღვრულ გადასცემ/გადაცემულ „ტექნიკური საშუალებების“ სარგებლობაში გადაცემის ღირებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

1.4. **„სააბონენტო გადასახადი“** – „კომპანიის“ მიერ „მომსახურების“ მიღების უფლებისათვის და/ან „მომსახურებისთვის“ დაწესებული შესამაბისი ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადი.

1.5. **„პირგასამტეხლო“/„ჯარიმა“** – შესაბამისი „მხარის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ფინანსური ან/და სხვა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ერთჯერადი გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება „ხელშეკრულებით“ (მისი დანართებით).

1.6. **„პირადი ნომერი“ ან „პირადი ანგარიში“** – „კომპანიის“ მიერ „აბონენტისათვის“ მინიჭებული პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც გაერთიანებულია ერთი ან/და რამდენიმე „მომსახურება“ და რომელზეც ხორციელდება „მომსახურების ღირებულების“ დარიცხვა ან/და გადახდა ან/და რომელზეც ხორციელდება „მომსახურების ღირებულების“ წინასწარ გადახდა.

1.7. **„ფრადი“** – „მომსახურებისთვის“ დაწესებული „მომსახურების ღირებულების“ გადახდისაგან თავის არიდების გზით, „მომსახურების“ უსასყიდლოდ ან/და შემცირებულ ფასად მიღება.

1.8. **„ტრაფიკი“** – საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით, დროის მოცემულ მონაკვეთში გადაცემული მონაცემების (სიგნალების, გზავნილების, პაკეტების და ა.შ.) ერთობლიობა.

1.9. **„მიღება-ჩაბარების აქტი“** – „მხარეთა“ შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება „აბონენტისთვის“ „ტექნიკური საშუალებების“ გადაცემის, შეცვლის ან/და „აბონენტის“ მიერ „კომპანიისთვის“ უკან დაბრუნების (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ფაქტი, ასევე, აბონენტის წინასწარი მოთხოვნის შემთხვევაში – „მომსახურების“ ან/და მასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურების გაწევის ფაქტი.

1.10. **„კანონმდებლობა“** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

1.11. **„აბონენტი“** – ფიზიკური პირი, ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი (რომელიც წარმოადგენს ბოლო მომხმარებელს და რომელსაც ეკრძალება „მომსახურების“ შემდგომი გადაყიდვა ან/და სხვაგვარად „მესამე პირებისათვის“ მიწოდება), რომლის მიერაც ხდება „ხელშეკრულების“ დანართ(ებ)ით განსაზღვრული „მომსახურების ღირებულების“ გადახდა, რომლის სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია „ხელშეკრულებაში“.

1.12. **„მესამე პირი“** – ნებისმიერი პირი გარდა „აბონენტისა“ ან/და „კომპანიისა“.

1.13. **„მხარე/მხარეები“** – „აბონენტი“ ან/და „კომპანია“, კონტექსტის შესაბამისად.

1.14. **„პირი“** – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი.

1.15. **„სამუშაო დღე“** – დღე, შაბათის, კვირის ან „კანონმდებლობით“ განსაზღვრული ოფიციალური უქმე დღეების გარდა.

1.16. **„ტექნიკური საშუალებები“** – ტექნიკური საშუალებები და სხვადასხვა სახის ძირითადი თუ დამხმარე მოწყობილობები, რომელთა მიღებისა და გამოყენების წესი მოცემულია „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლში ან/და დანართებში;

1.17. **„კომისია“** – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

1.18. **„რეგლამენტი“** – ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი.

1.19. **„პრომო აქცია“** – „კომპანიის“ მიერ შესაბამისი „მომსახურებების ღირებულების“ ან/და „მომსახურების“ მახასიათებლების დროებითი ცვლილება ამგვარი „პრომო აქცია(ებ)ის“ ფარგლებში და ვადით.

1.20. **„საკონტაქტო ინფორმაცია“** – „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებაში“ დაფიქსირებული ფიქსირებული/მოზილური კავშირის ნომერი ან ელექტრონული ფოსტა.

1.21. **ერთიანი ანგარიში** – „კომპანიის“ მიერ „აბონენტის“ სახელზე გახსნილი ერთჯერადი ანგარიში (პირადი ანგარიში), სადაც გაერთიანებულია „კომპანიის“ მიერ „აბონენტისთვის“ მიწოდებული მომსახურების ტიპები, რომელზეც ხორციელდება გაერთიანებული

